

## კომუნიკაცია

თქვენს ბავშვს მოსწონს თქვენთან ერთად ყოფნა. ის ძალიან სწრაფად ითვისებს ახალ სიტყვებს. სიტყვებით გამოხატავს თავის მოთხოვნებს, სურვილებს და აზრებს. შეუძლია აწარმოოს მარტივი დიალოგი, ესაუბროს საკუთარ თავს ან წარმოიდგინოს, რომ სათამაშო ცხოველს ესაუბრება. შეუძლია შეასრულოს მარტივი დავალებები. უყვარს წიგნების კითხვა. სიამოვნებს ერთი და იგივე წიგნის მრავალჯერ მოსმენა!

აბა, იპოვე!

ეს თამაში შეგიძლიათ ითამაშოთ მანქანაში, ავტობუსში ან ფეხით სეირნობისას. თქვენ თქვით: "მე ვხედავ სატვირთო მანქანას". ბავშვი ეცდება მოძებნოს, რაც თქვენ დაინახეთ. ეხლა მისი ჯერია, რომ თვითონ თქვას, რა დაინახა. ეცადეთ ისეთი საგნები გამოიყენოთ ამ თამაშის დროს, რისი დანახვაც მას შეუძლია. ასევე შეგიძლიათ თქვათ, „მე მესმის...“ გამოიყენეთ ისეთი ხმები, როგორცაა: მოტოციკლის ხმა, მანქანის სიგნალი, ჩიტების ჭიკ-ჭიკი, ძაღლის ყეფა ან რადიოს ხმა.

სურათების  
ალბომი

შექმენით პატარა ალბომი თქვენი ბავშვისთვის ნაცნობი ადამიანების და ცხოველების სურათებისგან. ისაუბრეთ თქვენს ბავშვთან ამ სურათების შესახებ, დაასახელებინეთ ფოტოზე გამოსახული ადამიანები და ცხოველები. ჰკითხეთ მას: „ვინ არის ეს? რას აკეთებენ ისინი?“ ხშირად დაათვალიერეთ ეს ალბომი. ასწავლეთ საკუთარი სახელი და გვარი და დააწერეთ ამ ალბომს.

როცა პატარა  
იყავი

მოუყევით თქვენს ბავშვს მისი პატარობის დროინდელი ამბები: „როდესაც შენ გაჩნდი...“ ან „როდესაც შენ პატარა ბავშვი იყავი...“. მას მოეწონება ამ ამბების მრავალჯერ მოსმენა.

განვლილ  
დღეზე  
საუბარი

დღის ბოლოს ყველა ოჯახის წევრმა მოყევით თქვენი განვლილი დღის შესახებ. მოაყოლეთ თქვენს პატარასაც თუ რა გააკეთა დღის მანძილზე. მიეცით მას საკმარისი დრო ამისთვის. უკეთესია, თქვენ შეახსენოთ თუ რამე გამორჩება. ასე ის ისწავლის თანმიმდევრობით მოყოლას. უთხარით: “მადლობა, რომ შენი დღის შესახებ მოგვიყევი.”

ბავშვის  
დაბანა

მიეცით თავისი თოჯინა, რომ დაბანოს თავისი ბავშვი სათამაშო აბაზანაში ან თავის აბაზანაში. „ბანაობის“ დროს ისაუბრეთ თოჯინის სხეულის ნაწილების შესახებ: „შენ ბავშვს ხელებს ბან“. გააგებინეთ, თუ რა კარგ საქმეს აკეთებს, როდესაც ის თავის ბავშვზე ზრუნავს.

ეს  
რა  
ხმაა?

გამორთეთ ტელევიზორი და სხვა ხმოვანი აპარატურა, რომ უკეთ გაიგოთ თქვენს ირგვლივ არსებული ხმები. მოუსმინეთ მაცივრის მოტორის ხმას, ქარის ზუზუნს, საათის წიკ-წიკს ან ადამიანების საუბარს. ჰკითხეთ ბავშვს, თუ რისი ხმა ესმის მას. სცადეთ იგივე ღამითაც. ყური დაუგდეთ ჭრიჭინას, ბაყაყის ყიყინს ან მანქანის სიგნალს. ჩასჩურჩულეთ ერთმანეთს, თუ რისი ხმა გესმით.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## მსხვილი მოტორიკა

„აქტიური“ ყველაზე შესაფერისი სიტყვაა თქვენი ბავშვის აღსაწერად. მისი კუნთები სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება. ის სულ უფრო დარწმუნებულია თავის უნარებში. მიეცით საშუალება გააკეთოს ის, რაც მას მოსწონს - ბურთზე ფეხის დარტყმა, სათამაშოებზე ქანაობა, სათამაშო ატრაქციონებზე აცოცება, ქანაობა, სირბილი, ხტომა და აიწონა-დაიწონას თამაში.

შეგიძლია ამის გაკეთება?

დადექით ცალ ფეხზე და ჰკითხეთ თქვენ პატარას: „შეგიძლია ამის გაკეთება?“ ერთი წამითაც კი რომ შეძლოს ბავშვმა ცალ ფეხზე გაჩერება, მაინც შეაქეთ. ვითომ თვითმფრინავი ხართ, გამალეთ ხელები და „იფრინეთ“ ოთახში. იხტუნეთ, იხოხეთ, გააჭენეთ და ფეხის წვერებზე იარეთ სახლში. ბავშვმაც გააკეთოს რაიმე და თქვენც გაიმეორეთ მისი მოძრაობა. ჩართეთ თამაშში მთელი ოჯახი.

ბაყაყივით ხტუნვა

ვითომ თქვენ და თქვენი ბავშვი ბაყაყი ან კურდღელი ხართ. აჩვენეთ მას თუ როგორ უნდა ორივე ფეხზე ხტუნვა. გადაახტით ცარცით გავლებულ ხაზს, ასფალტის ბორდიურს ან რაიმე პატარა სათამაშოს. ცარცით მონიშნეთ ის მანძილი, რაზეც ბავშვი გადახტომას შეძლებს ორივე ფეხით: „შეხედე, რამხელაზე გადახტა ჩვენი ბაყაყი!“

ფეხბურთის ვარსკვლავი

გამოიყენეთ საშუალო ზომის ბურთი (20-25 სმ) თქვენს პატარასთან ფეხბურთის სათამაშოდ. გააკეთეთ კარი რძის ორი ყუთისგან ან მუყაოს დიდი ყუთისგან. დაარტყმევინეთ ბავშვს ბურთი „კარის“ მიმართულებით. აი, გოლიც!

სათამაშო მოედანზე გართობა

ყოველდღე სათამაშო მოედანზე ან ეზოში გატარებული დრო სასარგებლოა ორივესთვის. წახალისეთ თუ ბავშვი ირბენს, იქანავებს და აცოცდება სათამაშო კონსტრუქციებზე და ჩამოსრიალდება კიდეც. თქვენც შეუერთდით პატარას ამ გართობაში. გზაში გადაახტით რაიმე ჯოხს ან გზის ბორდიურს. ივარჯიშეთ კიბეზე ასვლასა და ჩამოსვლაში ან კიბიდან გადმოხტომაში. გაიცანით სხვა ბავშვები და მშობლები. კარგად გაერთეთ!

კალათბურთი

დაუდექით ბავშვს წინ და ხელებით გააკეთეთ წრე. თქვენ ხართ „კალათი“. ასროლინეთ პატარას ბურთი „კალათში“. კალათის მაგივრად შეგიძლიათ სუფთა სანაგვე ან სარეცხის კალათა გამოიყენოთ.

ცხენით ჯირითი

ახტუნავით ბავშვი თქვენს მუხლებზე, მოკიდეთ ხელები, დაისვით ფეხზე და ახტუნავით. თუ თქვენ ფეხებს გადააჯვარედინებთ, ასე უფრო ნაკლებად დამღლელი იქნება მისი ხტუნაობა. გაჩერდით ცოტა ხანს და დაელოდეთ რომ ბავშვმა თვითონ დაიწყოს ხტუნვა ან გთხოვოთ გამეორება. ჰკითხეთ მას: „კიდევ? გინდა კიდევ ვიხტუნავოთ?“

კიბეზე დამოუკიდებლად ასვლა

კიბეებზე ასვლისას მოაკიდებინეთ ხელი ბავშვს თქვენს ერთ თითზე. ნელა ადით და მიეცით საშუალება, რომ ნაკლები დახმარების გარეშე ან დამოუკიდებლად შეძლოს ასვლა. ასწავლეთ მოაჯირზე ხელის მოკიდება და მისი დახმარებით კიბეზე ასვლა. როდესაც ის კიბეებს დამოუკიდებლად აივლის, შეაქეთ და ჩაიხუტეთ!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## ნატიფი მოტორიკა

თქვენი ბავშვის თვალები და ხელები უკვე შეწყობილად მუშაობენ. უყვარს ნივთების ნაწილებად დაშლა და აწყობა. ძალიან მოსწონს სახატავი და საწერი საშუალებების გამოყენება. მოამარაგეთ ის ფურცლებით, ფერადი ფანქრებით, ფლომასტერებით და მარკერებით. ასევე, კარგია ფაზლებით, კუბებით და სხვა უსაფრთხო პატარა სათამაშოებით თამაში. ისაუბრეთ და გაერთეთ ერთად. ხატვის ან წერის დროს დააწესეთ და დაიცავით წესები: „ჩვენ ვხატავთ მხოლოდ ქაღალდზე და მხოლოდ მაგიდაზე. მე ამას შეგახსენებ ხოლმე.“

ბლინების გადაბრუნება	ჩვეულებრივი ღრუბლისგან გამოჭერით „ბლინი“. მიეცით პატარა ტაფა, ბლინების გადასაბრუნებელი ხის დანა და აჩვენეთ როგორ უნდა გადაატრიალოს ბლინი.
მაკარონის მძივი	ააცვით მძივი მსხვილი და მოკლე მილის ფორმის მაკარონისგან. შეიძლება შეაღებინოთ მაკარონი მძივად აცმამდე ან მის შემდეგ. უმჯობესია თუ მძივის ზონარს მაგარი ბოლოები ექნება. ამიტომ აჯობებს თუ მძივს ფეხსაცმლის თასმაზე ააცვამთ. შეგიძლიათ ბოლოებზე მიაბათ ლენტის, რომ შესაკრავად ადვილი იყოს.
შინ მომზადებული წვენი	გააკეთეთ ერთად ფოთოხლის წვენი ან ლიმონათი. მოიხმარეთ თქვენი პატარა ხელის საწურით ფორთოხლის გამოწურვაში. აჩვენეთ, როგორ უნდა დააწვეს და დაატრიალოს ფორთოხალი, რომ წვენი გამოუვიდეს. ლიმონათის გასაკეთებლად კი თქვენ შაქრისა და წყლის დამატება მოგიწევთ. მიეცით საშუალება, რომ მოგეხმაროთ მორევში. ახლა კი გადაჰკარით!
გადაიხატე	გაავლეთ ხაზები ზემოდან ქვემოთ, ფურცლის ერთი კიდიდან მეორე კიდისკენ და უთხარით თქვენს ბავშვს, რომ გაიმეოროს. მერე თქვენ გაიმეორეთ მისი ნახატი. მერე ისევ მან გადაიხატოს თქვენგან. სცადეთ ზიგ-ზაგის და სპირალის დახატვა. დახატეთ ფერადი ფანქრებით ფურცელზე, ჯოხით ქვიშაზე, მარკერებით გაზეთზე ან თქვენი თითით დაორთქლილი აბაზანის მინაზე.
გართობა ბანაობისას	ბანაობის დროს მიეცით საშუალება, რომ გაერთოს, გაწუროს ღრუბელი ან პირსახოცი, ხელი მოუჭიროს რეზინის სათამაშოს. მოჭერა აძლიერებს მისი ხელისა და თითების კუნთებს და ბანაობასაც სახალისოს ხდის.
ჩემი საყვარელი ნივთები	თქვენს ბავშვს შეუძლია გააკეთოს წიგნი თავისი საყვარელი ნივთების შესახებ. აუკინძმეთ რამდენიმე ფურცელი. შეარჩევინეთ ფურცლის ფერი. თვითონ გაჩვენოთ, რისი ამოჭრაც სურს ჟურნალიდან ან თვითონვე შეუძლია სცადოს ამოჭრა. დააწებეთ ეს სურათები ფურცლებზე. დაეხმარეთ, რომ ფერადი ფანქრებით და მარკერებით გაალამაზოს ფურცლები. სტიკერების გამოყენებაც სახალისო იქნება. თქვენ შეგიძლიათ დააწეროთ ის, რასაც ბავშვი სურათის შესახებ ფიქრობს. „დააწერინეთ“ თავისი სახელი. ეს ჯერ შეიძლება მხოლოდ რაღაც ნიშანი იყოს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია!
საგნების დახარისხება	აიღეთ კვერცხის ჩასადები მუყაოს კონტეინერი. პლასტმასის თასში ჩააწყვეთ სხვადასხვა პატარა ნივთი: თხილი, ნიჟარები და ბამბის ბურთულები. ბავშვმა სცადოს ამ ნივთების პატარა კოვზით აღება და მუყაოს კონტეინერის ღრმულებში მოთავსება. შეაქეთ და ჩაიხუტეთ, როდესაც კარგად გააკეთებს.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## პრობლემის გადაჭრა

თქვენი ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ყველაფრის დამოუკიდებლად კეთება. იყავით მომთმენნი მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ეს შესაძლოა აუტანელი იყოს. შეეცადეთ ისიამოვნოთ ამ პერიოდით, როცა თქვენი ბავშვი სწავლობს დამოუკიდებლობას. მიეცით მას საკმარისი დრო და საშუალება, რათა თავი გამოიჩინოს და უფრო დამოუკიდებელი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ წარმოსახვა თქვენი ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელია, შესაძლოა მას რეალობა და წარმოსახვა ერთმანეთში აერიოს. მიეხმარეთ მას ამის გარჩევაში, განსაკუთრებით როდესაც ფილმს ან რაიმეს უყურებს ტელევიზორში.

### ჩანთების შედარება

აარჩიეთ ორი ან მეტი ყოველდღიური ნივთი. გამოიყენეთ ქაღალდის ორი ჩანთა და ჩადეთ ერთნაირი ნივთები ორივეში. ერთი ჩანთიდან ამოიღეთ რაიმე ნივთი და სთხოვეთ ბავშვს მიწვდეს და ხელით მოძებნოს მეორე ასეთი მის პარკში. შეახსენეთ: „არ ჩაიხედო, მხოლოდ შეიგრძენი!“

### სახლის საქმეში დახმარება

სთხოვეთ პატარას, დაგეხმაროთ სარეცხის დახარისხებაში. დაახარისხეთ ფერების მიხედვით ან ერთნაირი ტანსაცმელი ერთად დააწყვეთ. სთხოვეთ ბავშვს, რომ ყველა წინდა ერთად მოაგროვოს, ხოლო მაისურები კი ცალკე დადოს. შეუძლია ფეხსაცმელები ერთად ჩამწკრივოს, თქვენ კი მათ დაწყვილებაში დაეხმარეთ.

### მსუბუქი წახემსება

გამოაწყვეთ სხვადასხვა მსუბუქი საკვები: დაჭრილი ხილი, პატარა კრეკერები ან ორცხობილა. ჩამწკრივით ოთხი ცალი და თან დაითვალეთ. მიეცით ოთხი ცალი და სთხოვეთ, რომ დააწყოს რიგში. მიეხმარეთ მას ამ ნაჭრების დათვლაში და შემდეგ უკვე ჭამაში.

### კოლოფებით აშენება

მოაგროვეთ პატარა და საშუალო ზომის კოლოფები და გამოიყენეთ ისინი საშენ მასალად. შეგიძლიათ გამოიყენოთ ფეხსაცმლის ყუთები, რძის ცარიელი კოლოფები და სხვა. ასწავლეთ ბავშვს ამ ყუთებით აშენება. დაურთეთ კომენტარები: „რა მაღალს აშენებ. ეს სახლია? ეს კედელია?“ დაამატეთ სათამაშო მანქანები და ცხოველები იმისთვის, რომ თამაში უფრო სახალისო გახდეს.

### სად არის?

ნებისმიერი საგნის გამოყენებით ითამაშეთ დამალოზანა. მაგალითად, დამალეთ დათუნია ბალიშის ქვეშ. მიეცით მინიშნებები პატარას: „სად არის დათუნია? შეგიძლია ის იპოვო? ის არის მწვანე რაღაცის ქვეშ“ ან „ის არის რაღაც რბილის უკან.“ მიეხმარეთ იმდენად, რამდენიც დასჭირდება. შემდეგ მას დაამალინეთ რაიმე და ახლა უკვე მან მოგცეთ თქვენ მინიშნებები.

### მომიტანე

მოიგონეთ თამაში, სადაც თქვენი პატარა სხვადასხვაგვარ ნივთებს მოგიტანთ. სთხოვეთ, მოგიტანოთ რაიმე რბილი ან რაიმე მაგარი. ამით ის ნივთების სიმკვრივის გარჩევას ისწავლის. სთხოვეთ მოგიტანოთ სხვადასხვა ფერის ნივთები, ამით ის ფერებს ისწავლის. ესაუბრეთ იმაზე, რასაც მოგიტანთ: „შენი მატარებელი რბილია თუ მაგარი?“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## პიროვნულ-სოციალური

თქვენი პატარა სწავლობს დამოუკიდებლობას და ცდილობს ასიამოვნოს უფროსებს. ძალიან მოსწონს თქვენი დახმარების გარეშე ჭამა და ჩაცმა. უყვარს მიზამვა, რაც შეგიძლიათ გამოიყენოთ და დაიხმაროთ სახლის დალაგებაში. მიეცით მარტივი დავალება, მაგალითად, იატაკზე დაღვრილი წვეთების მოწმენდა. დახმარება და მოთმინება ორივეს გაგიადვილებთ ცხოვრებას, განსაკუთრებით თუ ოჯახში ახალი ბავშვიც გაჩნდა.

### ჩაცმა

ტანსაცმლის გახდა ადვილია! ახლა უკვე ასწავლეთ, რომ ჩაიცვას დამოუკიდებლად. დაიწყეთ განიერი შორტი. დასვით იატაკზე, ფეხები გააყრევინეთ შარვლის ტოტებში, შემდეგ ააყენეთ და ამოაწვინეთ შორტი. უთხარით: „ყოჩაღ, შენ ის მარტომ ჩაიცვი!“ ჩაახედეთ სარკეში. ავარჯიშეთ მაისურის ჩაცმაში, ჯერ წამოიცივას თავზე („ბუუ!“), შემდეგ გაუყაროს ერთი ხელი და შემდეგ მეორე. უთხარით: „რა კარგად იცმევ!“

### ერთად თამაში

დაპატიჟეთ თქვენი ბავშვის მეგობრები თქვენთან ან თქვენი ბავშვი წაიყვანეთ იმ ახლობლის სახლში, ვისაც მისი ტოლი ბავშვი ჰყავს, რომ ერთად ითამაშონ. გაითვალისწინეთ, რომ აუცილებლად უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის სათამაშოები. მოგვიანებით სთხოვეთ, რომ მოგიყვეთ ამ თამაშის შესახებ.

### პირველი გრძობები

დაეხმარეს თქვენს პატარას, იმ ემოციების სახელები ისწავლოს, რასაც გრძნობს. იმისთვის, რომ მიხვდეს რას ნიშნავს წუხილი, შესაფერის დროს უთხარით: „შენ რაღაც შეწუხებული გამოიყურები, რა მოხდა? შეგიძლია მომიყვე?“ თუ იცით რომ ბავშვი არის გაღიზიანებული, გამოიყენეთ ეს სიტყვა: “ვიცი, რომ შენ მართლა გაღიზიანებული ხარ. მალე გაგივლის“. როდესაც თქვენი პატარა მიხვდება, რომ ემოციებს თავისი სახელები აქვს, უფრო გაუადვილდება მათთან გამკლავება.

### ბავშვის ხელში დაჭერა

დააჭერინეთ თქვენს ბავშვს ახლობლის ჩვილი ბავშვი ან თუ ჰყავს, საკუთარი და ან ძმა. ასწავლეთ ბავშვის ჭერა, როგორ უნდა იჯდეს წყნარად და როგორ უნდა მოხვიოს ხელები, რომ ჩვილი კარგად ეკავოს. ასწავლეთ, როგორ ნაზად უნდა მოეპყრას ბავშვებს. უთხარით, რომ ის ბავშვს ძალიან მოსწონს და მისი მეგობარია.

### მე თვითონ!

მიეცით საშუალება, რომ დამოუკიდებლად ჭამოს ჩანგლის ან კოვზის გამოყენებით. მისთვის კარტოფილის ჭამა უფრო იოლი იქნება, ვიდრე ლობიოსი, თუმცა ამასაც მალე შეძლებს! ასწავლეთ, როგორ უნდა დაახვიოს მაკარონი ჩანგალზე. მოიმარჯვეთ დამატებითი ხელსახოცი!

### პატარა მშობელი

როდესაც თქვენი პატარა თოჯინით ან სათამაშო ცხოველით თამაშობს, მიეცით პლატმასის პატარა თევზი, კოვზი და ჭიქა. ამ თამაშში გამოადგება სხვა ისეთი ნივთებიც, როგორცაა საბანი, სავარცხელი ან კბილის ჯაგრისი. ახლა უკვე ნამდვილად შეუძლია მოუაროს თავის პატარა დათუნას!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.